

მარი ბერიძე-ხელვაჩაური, ფერის საჯარო სკოლა, მე-12
კლასი

558 21 90 79

კვლავ შესაბამის სიტყვებს ვარჩევ ამ ცივი შემოდგომის ცივი წვიმისთვის, რომელიც დაუღალავად მოდის და მოდის, მოაქვს და მოაქვს სინესტე და სიცივე. მთელ ქუჩებს სისასტიკით ედება და არც მე მყოფნის ძალა მისი შეჩერების, რადგან მას სახე სულ ჩამოშლოდა და არც ნებას მაძლევდა სხვისკენ გახედვის და მაინც არ მესმის, ჩემგან რას ელის მაშინ, როცა მე წვიმას მოველი, ჭუჭყის მტერს და თუ ასეა, მაშინ წაიღოს ქალაქი, იქ მაინც არაფერი დარჩა ძველი მწერლების, ან კი რას ჩამოშლია სახე, რად დაუხრია ქვემოთ თავი, რად შეუხრია წარბი? ნუთუ გაზაფხულის ძილში გაცვლიან?! ვიცი, ეს სასტიკი სინესტე მხოლოდ ქუჩებს არ გასტანს. ამიტომ ვისურვებდი წვიმას, წვიმას გრიგალივით. იქნებ მისი ვაგლახით გამოიზაფხულოს.

რა გითხრა, მკითხველო, დროც ხომ არასდროს წყვეტს თავის მოვალეობას და ნურც შენ დაივიწყებ, რომ ძილი ვერ წაგვეხმარება ქართველ ერს.

-- -- --

ეს უსიამოვნო მძაფრი საღებავის სუნი ისევ დასეირნობს ოთახებს შორის, თავს დასტრიალებს ჩემს ყვავილებიან ლარნაკს, ეს-ესაა ტილოზე რომ დავასრულე მისი ხატვა. ისე მოაქვს თავი, თითქოს მისი გაშვება არ მდომებოდა. გაზაფხულის ნათელი სხივები კი მიპყრობდა და მიპყრობდა, მთხოვდა ფარდა გამეწია და ფანჯარა შემეხსნა. ამ დროს მისი სხივები კი არა, დილისაგან შეციებული ჰაერი შემოიჭრა ჩემს ოთახში. ინავარდა ოთახებს შორის, ყველაფერს მიუალერსა და თეთრად შეღება ნელ-ნელა ყველაფერი.

თეთრად შეღებილი ოთახი მავსებდა, ოღონდ წითელი ფერი აკლდა, წითელი... ტიტები გამახსენა...პატარაობაში ჩემს მეზობელ ბოშა ქალს ვპარავდი. სუნთქვა მეკვროდა, წითლად აალებულ ეზოს რომ ვხედავდი, მზესავით ყვაოდნენ, სიყვარულის ანგელოზებივით. და მეც ვერ გავძელი, მახსოვს, როგორ გავძვერი ეკლიან ბუჩქებს შორის, როგორ შემომცინა ედემმა. ტიტების ტალახიან ნერგებს უბეში ვილაგებდი. არა მრცხვენოდა, მიხაროდა, ნერგები ჩემს პატარა ბაღში მიმქონდა, გაზაფხული მომყავდა. ეს ბავშვური ახირება არ იყო, მე სიყვარული მოვიტაცე, მსურდა სილამაზე შემექმნა, თვალი მედევნებინა, მით მეცოცხლა, ამიტომაც არ მინანია.